მასობრიობა სპორტის საფუძველია
მშდ — ჯანმრთელობის გასაღები

ინსტიტუტის
სპარტაკიადის
ალამი
ადგილზე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 110 (5140)

1974 წ. 5 ივნისი, ოთხშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში მოეწყო დიდი სპორტული დღესასწაული, რომელიც სასწავლო წლის დამთავრებას მიეძღვნა. იმავე დღეს შეჯამდა ინსტიტუტის სპარტაკიადის შედეგებიც.

— სპარტაკიადაში, რომლის პროგრამაშიც ძირითადად მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება შედიოდა, 400-მდე სტუდენტი და 80-მდე პროფესორ-მასწავლებელი მონაწილეობდა, — გვიამბობს ინსტიტუტის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე, დოცენტი გ. ყირშელაშვილი. — ნორმატივები ოქროს სამკერდე ნიშანზე თექვსმეტმა თანამშრომელმა ჩააბარა, ვერცხლის ნიშანზე კი ორმოცდაექვსმა.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი ინგლისური ენის ფაკულტეტის (ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი მ. იანვარაშვილი) ნაკრებს ხვდა. II ადგილზე გავიდნენ გერმანული ენის ფაკულტეტის სპორტსმენები (ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი ზ. მეგრელიშვილი).

სპარტაკიადის ალმის დაშვების წინ გამარჯვებულ გუნდებსა და სპორტსმენებს დიპლომები გადაეცათ. დაჯილდოვდნენ ინსტიტუტის სპორტის მესვეურნი, მშდ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშნები მიიღეს ინსტიტუტის სასწავლო ნაწილის გამგემ გ. ჭიპაშვილმა, უფროსმა მასწავლებელმა, მეცნიერებათა კანდიდატმა ს. კარბელაშვილმა, უფროსმა მასწავლებელმა გ. ახმეტელაშვილმა და სხვ.

ინსტიტუტში დიდი ყურადღება ეთმობა ფიზკულტურისა და სპორტის პროპაგანდას. თვალსაჩინო ადგილზეა მოწყობილი ფოტოსტენდები: „მშდ — ყველას“, „სახელოვანი მამულიშვილები“, „როცა ორმოცს გადავაბიჯებთ“, პლაკატები. ერთობ პოპულარულია ჯანმრთელობის ჯგუფი, რომლის საქმიანობაშიც აქტიურად მონაწილეობენ ინსტიტუტის პროორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში, დოცენტი თ. ამირეჯიბი, მასწავლებლები ე. არლანაშვილი, მ. კაკამვილი და სხვ.

ინსტიტუტის ფიზკულტურელთა მონდომებული მუშაობა მათი მომავალი წარმატებების საწინდარია.

ჯ. გოგლიძე.

• • •

სურათებზე: ტანმოვარჯიშეთა მასობრივი გამოსვლა; გერმანული და ინგლისური ენების ფაკულტეტების კალათბურთელ ქალთა შეხვედრა; ფიზკულტურისა და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტების ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდების მატჩის მომენტი; გერმანული ენის კათედრის უფროსი მასწავლებლის, მეცნიერებათა კანდიდატ ს. კარბელაშვილის დაჯილდოება.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

დავეხმაროთ სოფლის ახალგაზრდობას!

SOS!

მზიანმა დღეებმა ახალგაზრდობას სპორტული მოედნებისკენ უხმო. რედაქციაში ხშირად შემოდის წერილები, რომელთა ავტორები ფიზკულტურელთა საქმიანობას გვაცნობენ.

ბევრგან, სადაც სპორტული მოედნები აქვთ, ეხთუნასტეები ცდილობენ შეაკეთონ ეს ბაზები და ზაფხულის სეზონისთვის მოამზადონ, სადაც არა, საკუთარი ხელით აგებენ ახალს, ამიტომ გასაგებია მათი გულისტკივილი, ვისაც არ შეუძლია თავისი მოედანი თუ სხვა სპორტული სარბიელი ქქონდეს.

აი, ჩვენს წინაა სოფელ ნიგოითის (ლანჩხუთის რაიონი) ახალგაზრდების წერილი. ამ წერილიდან ირკვევა, რომ ნიგოითელებს სპორტის ბევრი საეობა აინტერესებთ, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობა მათს გატაცებას ყურადღებას არ აქცევს. სათამაშო მოედანი სოფლიდან 3 კილომეტრის დაშორებით გამოუყვიათ ჭაობიან ადგილებში.

ცხრუკვეთელი (ჭიათურა) ახალგაზრდები ვ. ბიწაძე, გ. მოდებაძე, ბ. დევიძე, გ. ჭანკვეტაძე, გ. ჩხეიძე და სხვები გვწერენ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ სტადიონი გადაგვიხსნაო. ამასვე უჩივიან ახმეტის რაიონის სოფ. ხალაწანის ახალგაზრდები.

ხაშურის რაიონის სოფელ ცხრამუხის სპორტის მოყვარულმა კოლმეურნეებმა თავიანთი დანაზოგებით მოამზადეს მოედნისთვის ადგილი, მაგრამ სანამ ფეხბურთის კარების ძელებს მოიტანდნენ, კოლმეურნეობის თავკაცებმა არხი გაიყვანეს და მოედანი დაიტბორა. ეს იყო შარშან, გაზაფხულზე და ზაფხულში წყალი არ დამშრალა. შემოდგომაზე მოედანი გადახნეს და კოლმეურნეობის სახნავ-სათეს ფართობს შეუერთეს. ახალგაზრდები გვწერენ. „ჩვენი სოფელი, თუმცა დიდია, მაგრამ გეგონება, აქ ახალგაზრდობა არ ცხოვრობსო. სპორტული მოედნები არსად ჩანს. ახალგაზრდებს ვერც თოხით ან ბარით ხელში შეხვდებით სახნავ-სათეს მინდვრებში. სოფლის თავკაცებმა ისინი ვერ ამოიყენეს მხარში, ვინაიდან მათთვის დაპირებების მეტი არაფერი გაუკეთებიათ“.

ორი წვეთი წყალივით ჰგავს ცხრამუხელი ახალგაზრდების ამბავი საგარეჯოს რაიონის სოფელ ყანდაურის ფიზკულტურელთა თავგადასავალს. ყანდაურელებს კომკავშირული ბრიგადაც კი შეუქმნიათ იმ მიზნით, რომ გამომუშავებული თანხა მოედნის მოსაწყობად მოეხმარათ, მაგრამ იმედი გაუცრუდათ. მწარედ მოვტყუვდით, გვწერენ ახლა ისინი, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ პატარა ადგილიც არ დაგვიტოვა, მთელი ფართობი სათესად გამოიყენეს.

უყურადღებობას უჩივიან, აგრეთვე, გარდაბნის რაიონის სოფელ ტაბახმელის ახალგაზრდები, რომელთა სახელითაც გვწერენ თ. ხიზამბარელი, ჯ. იაშაოაშვილი, დ. აზარიაშვილი, ა. შერმაზანაშვილი, გ. ოქრუაშვილი, თ. გელეგანიძე, თ. ფერიაშვილი, ნ. ქოროლიშვილი და სხვ. ზამთარში ამ სოფლის ახალგაზრდებს არ უშვებდნენ ბიოკომბინატის კლუბში, სადაც სპორტული სექცია იყო შექმნილი. იქ შესვლა მხოლოდ ამ დაწესებულების მუშებს შეეძლოთ, მაგრამ ისინიც უკმაყოფილო იყვნენ, ვინაიდან კლუბი უფრო ხშირად დაკეტილი ხვდებოდათ.

იქაური ახალგაზრდები ამ ხუთიოდე წლის წინათაც გვწერდნენ, ზაფხულში საასპარეზო მოედანი არა გვაქვსო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ტაბახმელელებს დაპირებებით ისტუმრებდნენ. ახალგაზრდები იმედს არ კარგავენ, იქნებ წლეულს მაინც გვეშველოს რამეო.

სპორტული მოედნების უქონლობაზე, კოლმეურნეობის გამგეობის უყურადღებობაზე გვწერენ საჩხერის რაიონის სოფ. მოძვის მეორე უბნის, ორჯონიკიძის რაიონის სოფ. ლეღვნის, ვანის რაიონის სოფ. ამაღლების ახალგაზრდები.

ასეთი წერილი ბევრია. აქ ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთი სოფლის მესვეურები არ ზრუნავენ ახალგაზრდობისთვის, ფიზკულტურასა და სპორტს ალმაცერად უყურებენ. ახალგაზრდობა კოლმეურნეობის მთავარი ძალაა, ამიტომ მას ხელი უნდა შეეწყოთ, წავახალისოთ, კარგი პირობები შევუქმნათ დასვენებისა და ჯანმრთელობის გაკაჟებისთვის და სწარმოო მაჩვენებლებიც გაიზრდება.

ამერიკელი მწვრთნელის გაკვეთილი

მაისის დამლევს მოსკოვის ლუჟნიკის საცურაო აუზში ნორჩ მოცურავეებს ამეცადინებდა... ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების მწვრთნელი. მოსკოველ სპეციალისტებთან ერთად ჯემს კაუნსილმენის საჩვენებელ გაკვეთილს ესწრებოდნენ თბილისიდან, ვილნიუსიდან, ფრუნზედან, მოსკოვის ოლქიდან ჩამოსული სტუმრები.

ინდიანის შტატის უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის პროფესორმა კაუნსილმენმა მსოფლიო რეკორდსმენთა და ოლიმპიურ ჩემპიონთა მთელი თაობა აღზარდა. მისი წიგნი „ცურვის მეცნიერება“ საბჭოთა ქვეყანაშიც გამოიცა.

გაკვეთილის დაწყებამდე ამერიკელმა სტუმარმა ლექცია წაიკითხა. ლექციის დროს უჩვენებდნენ კინოფილმს სხვადასხვა სტილით ცურვის ტექნიკის შესახებ. ამ ტექნიკას მაყურებელს საუკეთესო სპორტსმენები აცნობდნენ. გაკვეთილის შემდეგ კი დაიწყო შეკითხვები...

● თქვენი აზრით, რატომ არ არის სსრ კავშირის ნაკრებში ბევრი ექსტრაკლასის ოსტატი?

— ლენინგრადში მე ვნახე რამდენიმე ჭაბუკი და გოგონა, რომლებსაც შეუძლიათ დროთა განმავლობაში ცნობილი ოსტატები გახდნენ. ხოლო, თუ გსურთ ასეთი სპორტსმენი ბევრი გყავდეთ, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ მოცურავეთა, განსაკუთრებით კი უმცროსი ასაკის ბავშვების გეგმაზომიერ მზადებას. ბავშვები თანმიმდევრულად უნდა იკაფავდნენ გზას ოსტატობის მწვერვალებისკენ. მზადების თითოეულ საფეხურზე გამოყენებული უნდა იყოს მეცადინეობის განსაკუთრებული მეთოდი, ანუ სისტემა.

თქვენი ამჟამინდელი პროგრამა საერთოდ სწორ გზაზე დგას. ყოველ შემთხვევაში, ნორჩ მოცურავეთა მზადების პრინციპები თქვენში ბევრად უფრო ეფექტურია, ვიდრე, ვთქვათ, იაპონიაში, სადაც მე ახლახან ლექციებით გამოვედი.

● რას იტყვით ლუჟნიკის აუზზე?

— ჩემი აზრით, იგი სავსებით შეესაბამება ოლიმპიურ სტანდარტებს და, თუ 1980 წლის ოლიმპიადას მოსკოვი უმასპინძლებს, აქ თამამად შეიძლება მოცურავეთა შეჯიბრების ჩატარება.

• • •

კაუნსილმენი გამოვიდა ლენინგრადსა და კიევშიც.

ბ. ხაჩკოვანიანი.
(საკ. ინ. კორ.).

მოსკოვი.

ბიბლიოთეკა

აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის!

ენთუზიაზმი შედეგს მოიტანს

სამხედრო-ტექნიკურმა სახეობებმა დიდი სპორტული სარბიელი პირველად სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში დაამშვენა. და აი, რვა წლის შემდეგ სპორტის ამ რომანტიკული და მამაცური სახეობების წარმომადგენლებს კვლავ უხმეს საბჭოთა სპორტსმენთა დიდ ფორუმზე. ეს თითქოს სიმბოლურიცაა: VI სპარტაკიადა ხომ დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავს ეძღვნება!

გთავაზობთ აჭარის ასსრ დოსაფის კომიტეტის თავმჯდომარის შ. მანელიშვილის საუბარს „ლელოს“ კორესპონდენტ თ. ბაჩეჩილაძესთან სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის აჭარის სამხედრო-ტექნიკური სახეობების ოსტატთა მზადების შესახებ.

— საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამაში სპორტის ტექნიკური სახეობები ახლა უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, — თქვა შ. მანელიშვილმა, — ალბათ იმიტომ, რომ ბოლო წლებში ამ სახეობებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. აჭარის სპარტაკიადის დებულებაში ყოველგვარი შეღავათი გამოვრიცხეთ. პროგრამაში დავტოვეთ ფინალურ სახეობათა უმეტესობა. ამ ასპარეზობისთვის მზადებამ ჩვენს მუშაობაში დიდი გამოცდილება შეიტანა. სპარტაკიადა მაქსიმალურად გამოავლენს ჩვენს შესაძლებლობებს და საქართველოს ნაკრებშიც ჩვენი მხოლოდ ღირსეული წარმომადგენლები მოხვდებიან.

● **რას გვეტყვით ბოლო წლების შედეგებზე, რა როლს თამაშობს უკვე შექმნილი ტრადიციები მომავლის ამოცანათა გადაწყვეტაში?**

— შარშან ჩვენმა მეკარჭაპეებმა, რომლებითაც საქართველოს გუნდი იყო დაკომპლექტებული, საბჭოთა კავშირის თასი და ოქროს მედლები მოიპოვეს, საზღვაო მრავალჭიდში კი ქალებსაც და ვაჟებსაც IV ადგილები ხვდათ. წყალსამოტორო სპორტში აჭარის სპორტსმენები საქართველოს ათგზის ჩემპიონები არიან. ბოლო ხანებში წყალქვეშა სპორტში წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ნაკრების წევრი თინათინ დოლიძე, რომელიც რესპუბლიკაში ერთ-ერთი უძლიერესია ფარფლებით ცურვაში. ცუდი შედეგები არც გიმნასტიკაში სპორტში ტექნიკურ სახეობებში ახლა უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, — თქვა შ. მანელიშვილმა, — ალბათ იმიტომ, რომ ბოლო წლებში ამ სახეობებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. აჭარის სპარტაკიადის დებულებაში ყოველგვარი შეღავათი გამოვრიცხეთ. პროგრამაში დავტოვეთ ფინალურ სახეობათა უმეტესობა. ამ ასპარეზობისთვის მზადებამ ჩვენს მუშაობაში დიდი გამოცდილება შეიტანა. სპარტაკიადა მაქსიმალურად გამოავლენს ჩვენს შესაძლებლობებს და საქართველოს ნაკრებშიც ჩვენი მხოლოდ ღირსეული წარმომადგენლები მოხვდებიან.

● **რას გვეტყვით ბოლო წლების შედეგებზე, რა როლს თამაშობს უკვე შექმნილი ტრადიციები მომავლის ამოცანათა გადაწყვეტაში?**

— შარშან ჩვენმა მეკარჭაპეებმა, რომლებითაც საქართველოს გუნდი იყო დაკომპლექტებული, საბჭოთა კავშირის თასი და ოქროს მედლები მოიპოვეს, საზღვაო მრავალჭიდში კი ქალებსაც და ვაჟებსაც IV ადგილები ხვდათ. წყალსამოტორო სპორტში აჭარის სპორტსმენები საქართველოს ათგზის ჩემპიონები არიან. ბოლო ხანებში წყალქვეშა სპორტში წარმატებით ასპარეზობს საქართველოს ნაკრების წევრი თინათინ დოლიძე, რომელიც რესპუბლიკაში ერთ-ერთი უძლიერესია ფარფლებით ცურვაში. ცუდი შედეგები არც გიმნასტიკაში სპორტში ტექნიკურ სახეობებში ახლა უფრო ფართოდაა წარმოდგენილი, — თქვა შ. მანელიშვილმა, — ალბათ იმიტომ, რომ ბოლო წლებში ამ სახეობებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა. აჭარის სპარტაკიადის დებულებაში ყოველგვარი შეღავათი გამოვრიცხეთ. პროგრამაში დავტოვეთ ფინალურ სახეობათა უმეტესობა. ამ ასპარეზობისთვის მზადებამ ჩვენს მუშაობაში დიდი გამოცდილება შეიტანა. სპარტაკიადა მაქსიმალურად გამოავლენს ჩვენს შესაძლებლობებს და საქართველოს ნაკრებშიც ჩვენი მხოლოდ ღირსეული წარმომადგენლები მოხვდებიან.

● **რა გიშლით ხელს მუშაობაში და როგორ გესახებათ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები?**

— მოისუსტებს მუშაობა პირველად ორგანიზაციებში. ჩამორჩენის მთავარი მიზეზია სათანადო ბაზის უქონლობა და ინვენტარის ნაკლებობა. მთელს აჭარაში მხოლოდ ერთი ტირი გვაქვს. ასეთივე მდგომარეობაა საცურაო აუზების მხრივაც. საწყლოსნო სახეობათა სექციების სავარჯიშოდ ბაზებს იჯარით ვიღებთ. წლეულს მთელი სასხრების უკვე ნახევარზე მეტი ამაში დავხარჯეთ. ეს თანხა საკმარისი იქნებოდა ერთი სასწავლო აუზის ასაგებად. თავისთავად ცხადია, ტექნიკურ სახეობებს პირველ ყოვლისა ტექნიკა სჭირდება, რაც ძალიან ძვირი ჯდება და ჩვენთვის მიუწვდომელია. არც შტატები გვყოფნის. ბათუმის კლუბში, მაგალითად, ავტო-მოტოსპორტის ათამდე სახეობას ერთი ინსტრუქტორ-მეთოდისტი ხელმძღვანელობს. შუახევის რაიონში საერთოდ არ გვყავს სპეციალისტი. მუშაობის დონე დაბალია ქედისა და სულოს რაიონებშიც.

პრობლემა ბევრია. ენთუზიაზმს მეტი გასაჭანი უნდა მიეცეს. ამაში ძალიან გვჭირდება ზემდგომი ორგანოების მხარდაჭერა.

დასასრულ ისიც მინდა ვთქვა, რომ ბოლო წლებში აჭარაში სპორტის საშხედრო-ტექნიკურ სახეობებში 22 სპორტის ოსტატი და ათობით სპორტის ოსტატობის კანდიდატი მომზადდა. ესაა ყველაზე ნათელი დადასტურება იმისა, რომ ჩვენს ახალგაზრდებს უყვართ სამხედრო-ტექნიკური სახეობები და, თუ მეტი ხელშეწყობა გვექნა, ისინი მდიდარ სპორტულ ტრადიციებს ხალხთა VI სპარტაკიადაში განამტკიცებენ.

„ინტერვიუ“

უპატრონო ერუნდი

გასულ შაბათს თბილისში „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა მოტოსპორტში „ბ“ კლასის გუნდების საკავშირო პირველობის ზონალური ასპარეზობის ბოლო შეხვედრა. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „ივერიამ“ ერევნის „მასისს“ მასპინძლობდა.

მატჩის წინ წვიმდა და სველმა მინდორმა ბურთი ისე დაამძიმა, რომ სპორტსმენებს მისი დამუშავება და კარში ზუსტად დარტყმა უჭირდათ.

ამის მიუხედავად, თბილისელებს ცდა არ დაუკლიათ, რომ მორიგი 2 ქულა მოეპოვებინათ. „ივერიის“ უპირატესობა იმდენად აშკარა იყო, რომ ოთხი პერიოდის 80 წუთის მანძილზე თბილისელთა მეკარე ს. ხუციშვილი თამაშში ერთხელაც არ ჩაბმულა — მასპინძლები მეტოქის მინდვრის ნახევარს არ მოშორებიან. ნ. შონია, ლ. ნარიკაშვილი, ი. ტურაშვილი, ტ. მაზანაშვილი, შ. მინდიაშვილი და ლ. კაიფაჯიანი ადგილების ხშირი ცვლით ერევნელთა კართან ზედიზედ ქმნიდნენ სასიფათო მომენტებს, რამაც „მასისი“ აიძულა მინდვრის ოთხივე მოთამაშით დაცვისთვის ეზრუნა და ბურთი როგორმე სახიფათო ზონიდან მოეგერიებინა.

ამ მატჩში ანგარიშძი რომ არ გაიხსნა, ამაში ყველაზე მეტი „დანაშაული“ „მასისის“ მეკარე ნ. ოვსეპიანს მიუძღვის. იგი უშეცდომოდ, გაბედულად თამაშობდა და რამდენიმე ისეთი ძნელი ბურთი მოიგერია, რომ ფეხბურთის საუკეთესო მეკარესაც შეშურდებოდა.

„ივერიას“ ზონაში ჩასატარებელი დარჩა ერთი მატჩი, რომელიც შაბათს [illegible] ავტო-მოტოკლუბის გუნდთან გაიმართება.

მოტობურთი სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამაშიც შედის. განსაკუთრებით ამიტომაც დავინტერესდით ამ საკითხით, თუ როგორ ეშზადებიან ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები ამ დიდი სტარტებისთვის, რა უჭირთ, რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება. სპორტსმენებს მატჩის შემდეგ ვესაუბრეთ.

ყველა ერთი აზრისაა, რომ დოსაფის თბილისისა და საქართველოს კომიტეტები ამ სახეობის სათანადო დონეზე დაყენებისთვის ძალიან ნაკლებად ზრუნავენ. გუნდი, რომელიც სპორტსმენთა ენთუზიაზმით არსებობს, მომთაბარე ცხოვრებას ეწევა, მინდორი არა აქვს და სადაც მოახერხებს, იქ ვარჯიშობს. არავინ ზრუნავს სპორტსმენთა ტექნიკური ნაწილებით, საწვავით, ფეხსაცმლითა და ფორმით უზრუნველყოფისთვის, ბოლო ერთადერთი გუნდით, რომელსაც ხელრიანი რეზერვიც კი არ ჰყავს, ხალხთა სპარტაკიადაში რაიმე წარმატებაზე ფიქრიც ზედმეტია.

საკავშირო პირველობის ზონალური ტურნირი თბილისში ისე დამთავრდა, დოსაფს ასპარეზობის აფიშებიც არ გამოუკრავს.

მოტობურთი საინტერესო და სასარგებლო თამაშია. იგი საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საგმაო ქულებს იძლევა. ამიტომ თბილისისა და საქართველოს დოსაფის კომიტეტებმა გუნდის გაძლიერებისთვის ამთავაზეთ უნდა იზრუნონ.

რ. მაღრაძე.

ფიზკულტურის ირგვლივ

„ელექტრომანქანა“ ადგილიდან უნდა დაიძრაზ კაბინეტი—საწყობი

Sport ნაკვეთი

თბილისის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანა“ ერთ-ერთი მოწინავეა ოესპუბლიკაში. ამ ორგანიზაციის 50-ზე მეტი მუშა უკვე 1975 წლის ანგარიშში მუშაობს. საწარმოს დირექცია (გეხერალური დირექტორი კ. გვარიშვილი), პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები მთელ კოლექტივთან ერთად თავდადებით იბრძვიან, რომ მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელსაც სამშობლოს წინაშე პირნათლად მოიხადონ ვალი.

ამ საწარმოში ცხრა საამქროა. საამქროებში უმეტესად ახალგაზრდები მუშაობენ, რომლებსაც შრომის შედეგ ფიზკულტურა და სპორტი ყველაზე უკეთეს დასვენებად მიაჩნიათ. ასეთ გონივრულ დასვენებაზე არც ხანმოსულნი აბრობენ უარს.

აქ ერთ დროს კარგი ფიზკულტურული კოლექტივიც იყო. ხელობურთის, ფრენბურთისა და კალათბურთის კომბინირებულ მოედანზე „ძიკოოთხავის“ (მაშინ ქარხანას ასე ერქვა) მუშა-მოსამსახურეები (საწარმოში ათასზე მეტი თანამშრომელია) შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებსაც ხშირად პართავდნენ. მაგრამ მერე სპორტული მოედანი მასალის საწყობად გადაკეთდა და ქარხანა უბაზოდ დარჩა.

ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტი ა. გიორგაძე გამოცდილი ბუმბაკია. იგი ერთხანს ცდილობდა გამოსავალი მოენახა, ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა ნახევარზე მეტი სპორტსაზოგადოება „განთიადში“ გაერთიანა, ფიზკულტურასა და სპორტში 500-მდე კაცი ჩააბა — სხვადასხვა სახეობის სექციებში ჩაწერა.

თითქოს საწვრო ანარიცხების აკრეფის, ნიშნონნებისა და თანრიგოსნების მოშზადების გეგმებიც ყოველწლიურად სრულდება. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ კმარა. მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდური საბჭოს, სპორტული ჯგუფების საქმიანობის გაცნობა გვარწმუნებს, რომ საწარმოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ყველაფერი არ კეთდება.

გიორგაძის სამუშაო ოთახის მისაგნებად რუკისა და კომპასის გამოყენებაა საჭირო. უსუფთაო „კაბინეტი“ სპორტინვენტარის საწყობადაა გადაქცეული — ველოსიპედები, ტურისტული და სათხილამურო ინვენტარი, ფიზკულტურის კოლექტივისა და საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდური საბჭოების საბუთები, მეთოდისტის მთელი მეურნეობა, დიპლომები და სიგელები, ყველაფერი ამ ოთახშია თავმოყრილი.

სპორტი ფანატიკურად უნდა უყვარდეს კაცს, ამ ოთახს რომ მიაკითხოს, თორემ სხვას ქუდი რომ შეუგდო, არ შევა. ფიზკულტურის ხელმძღვანელი მირთვისადმი ასეთი უყურადღებობა დანაშაულია. თუ მეთოდისტსა და ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს (თავმჯდომარე — საწარმოს მთავარი ინჟინრის მოადგილე კ. ოქრუაშვილი) სათანადო პირობები არ შეუქმნეს, ისე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება შეუძლებელია.

როგორც ირკვევა, კ. ოქრუაშვილს ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს ბოლო სხდომა შარშან 5 სექტემბერს ჩაუტარებია (!).

ქარხნის ფიზკულტურელთა და სპორტსაზოგადოების წევრთა აღრიცხვის ჟურნალები მოუწესრიგებელია. საამქროებში ფიზკულტურული კოლექტივების საბჭოების შექმნისთვის არავის უზრუნია. დიდ საამქროებშიც კი (დაახლოვებით საამქროში, მაგალითად, 200-ზე მეტი კაცი მუშაობს) საბჭოების როლის შესრულება ითუდენიათ ფიზორგანიზაციისთვის, რომლებიც ქარხნის ფიზკულტურული საბჭოს სხდომაზე ამ საქმის ხელმძღვანელებად არც დაუმტკიცებიათ. ფიზორგანიზაციამ არ იცოდნ, რა ეგალეთ, ამიტომ არც თავს იწუხებენ.

ქარხნის ფიზკულტურულ საბჭოში 13 კაცია არჩეული, მათ შორის ფუნქციების განაწილება კი არავის მოჰგონებია. არა აქვთ წლევანდელი საუშაო გეგმა.

— „საქელექტრომანქანაში“ სპორტის რეა სახეობაა დანერგილი. ჯგუფები 26 კომბინრის რაიონის სხვადასხვა ბაზაზე ვარჯიშობენ, უმეტესად კი 77-ე სკოლის მოედნებს ვიყენებთ, — გვითხრა გიორგაძემ.

არ ვიცით, რამდენად დასაჯერებელია ეს სიტყვები, ვინაიდან მეცადინეობათა აღრიცხვის ჟურნალები ათი თვეა არავის გადაუშლია. ამ ჟურნალების მიხედვით ვერც მანამდე ჩატარებულ მეცადინეობათა შინაარსს გაიგებთ. მართალია, აქტივისტებისთვის ამ ჯგუფების ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი დატვირთვაა, მაგრამ წესის დაცვა მაინც საჭიროა.

გიორგაძემ თავი მოიწონა: საერთო ფიზმომზადების ჯგუფში 33 კაცი მეცადინეობს, საწარმოო ტანვარჯიში ხუთ საამქროში დავნერგეთ და ამ ღონისძიებაში 700-მდე თანამშრომელი ჩავაბეთო. მერე მეთოდისტმა ისიც დასძინა: არც მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაში ჩამოვრჩებით ვინმესო. მაგრამ ჩვენ მისი ნათქვამი ლიტონ სიტყვებად მივიღეთ, ვინაიდან საერთო ფიზმომზადების ჯგუფის მუშაობა შარშან მაისიდან შეწყვეტილია, საწარმოო ტანვარჯიში კი, როგორც უფრო სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, მხოლოდ ერთ საამქროში შეეთუღიათ და თურმე იქაც ათასში ერთხელ ტარდება. საამქროები რაიონიფიცირებულია, მაგრამ ამას საწარმოო ტანვარჯიშისთვის არ იყენებენ. ქარხანაში ისიც არავინ იცის, ვარჯიშთა კომპლექსი როგორ და რამდენ ხანში ერთხელ იცვლება.

მოსაწესრიგებელია მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების ოქმების წარმოებაც.

— პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა შარშან თუ იმსჯელეს ქარხნის ფიზკულტურელთა საქმიანობაზე? — ვკითხეთ ინსტრუქტორ-მეთოდისტს.

— არა, — მოკლედ მოგვიჭრა მან.

ქარხნის დირექცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს სიგნალებს, რომელთა მიზანიც ფიზკულტურულ კოლექტივში მუშაობის გაუმჯობესებაა. ამ საზოგადოების პლენუმებს ქარხნის ხელმძღვანელობის არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია.

შრომაში მოწინავე კოლექტივი, თუ მიღწევების შეფარჩენება და განმტკიცება სურს, მშრომელთა შორის მასობრივ-გამაჯანსაღებელ და ფიზკულტურულ საქმიანობასაც სათანადო ყურადღებას უნდა აქცევდეს.

ვფიქრობთ, საქართველოს ელსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი „საქელექტრომანქანაში“ მასობრივ-გამაჯანსაღებელი და ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობითაც დაინტერესდება.

ო. გელაშვილი.

სპორტული

ზაფხულის პირველი თვე ბევრ საინტერესო შეჯიბრებას გვპირდება. გაგაცნობთ უმთავრეს შეჯიბრებათა კალენდარს.

აკადემიური ნიჩბოსნობა

14-16. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება — „ქარვის ნიშნები“ (ტრაკაი).

14-16. საერთაშორისო შეჯიბრება — „კიევის რეგატა“ (კიევი).

15-16. საერთაშორისო შეჯიბრება — „გრიუნაუს რეგატა“ (გდრ).

22-23. სსრ კავშირის თასი ქალთა შორის (მოსკოვი).

28-30. სსრ კავშირის თასი ვაეთა შორის (მოსკოვი).

29. VI-7. VII. საერთაშორისო შეჯიბრებები — „ნოტინგემის რეგატა“ და „ჰენლეის რეგატა“ (ინგლისი).

აკრობატიკა

12-15. მსოფლიო ჩემპიონატი (ოსკოვი).

აფროსნობა

16-25. მსოფლიო ჩემპიონატი „ტემპესტის“ კლასში (ჰოლანდია).

21-28. საერთაშორისო შეჯიბრება — „ბალტიის XXVI რეგატა“ (ტალინი).

ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა

14-16. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ღია ჩემპიონატი (ლენინგრადი).

22-23. საერთაშორისო შეჯიბრება — „პრაღის რეგატა“ (ჩეხოსლოვაკია).

ველოსიპედი

5-6. საერთაშორისო შეჯიბრება სპრინტში (დანია).

5-14. საერთაშორისო შეჯიბრება გზატკეცილზე — მრავალდღიანი ველოსიპედოლა პოლკოვნიკ ვ. სკოვნკოს მემორიალი (პოლონეთი, უკრაინის სსრ).

18-19. საერთაშორისო შეჯიბრება ტრეკზე (გდრ).

26-30. საკავშირო შეჯიბრება გზატკეცილზე გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ პრიზზე (მოსკოვი).

თავისუფალი ჭიდაობა

21-26. ევროპის ჩემპიონატი (ესპანეთი).

თანამედროვე ხუთჭიდი

5-8. საერთაშორისო შეჯიბრება (ბულგარეთი).

15-19. საერთაშორისო შეჯიბრება (ჩინეთი).

კლასიკური ჭიდაობა

21-26. ევროპის ჩემპიონატი (ესპანეთი).

22-24. საერთაშორისო შეჯიბრება (თბილისი).

კრივი

14-19. საერთაშორისო შეჯიბრება (ლენინგრადი).

მძლეოსნობა

6. საერთაშორისო შეჯიბრება (საფრანგეთი).

8-9. საერთაშორისო შეჯიბრება — „რიგის თასი“ (რიგა).

8-9. საერთაშორისო შეჯიბრება გაზეთ „ნაროდნა მლადეჟის“ პრიზზე (ბულგარეთი).

14-15. საერთაშორისო შეჯიბრება — „ნეპსავას თასი“ (უნგრეთი).

19-20. საერთაშორისო შეჯიბრება

ᲣᲙᲣᲜᲐᲡᲙᲚᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ

Გ. ᲘᲕᲐᲜᲝᲕᲘ

ისინიც და ჩვენც წინა შეხვედრებით ქანცგაწყვეტილი ვიყავით და ახლა უკანასკნელი ძალა მოვიკრიბეთ სათამაშოდ. ნათელი იყო გაიმარჯვებდა ის, ვინც ანგარიშს გასწნიდა. იმიტომ, რომ ასეთ თამაშში და ასეთ მგზომარეობაში მონაპოვრის შენარჩუნება უფრო ადვილია, ვიდრე გარღვევის მოხდენა, აქტიურად და მიზანსწრაფულად მოქმედება. 23-ე წუთზე ილინმა გოლი გაიტანა ინგლისელთა კარში და მეოთხედფინალში გავედით.

აქ ინგლისელებთან თამაშის დაწვრილებით აღწერას არ დავიწყებ. ჯერ ერთი, იგი ამას არ იმსახურებს. მეორე მხრივ, ამ მატჩის ამბები როგორღაც მაშინვე გაქრა მეხსიერებიდან. დამამახსოვრდა მხოლოდ ერთი დეტალი, რომელიც, ვფიქრობ, საკმარისია ამ შეხვედრის დახასიათებისთვის. გათამაშების პირობებით, მეოთხედფინალისტი კენჭისყრას უნდა დაეხასელებინა. ჩვენ ვუტევდით, ინგლისელებს კი ჩვენი იერიშების მოგერიება უნდოდათ. ერთ მომენტში ინგლისელთა ცენტრალურმა მცველმა და კაპიტანმა ბილ რაიტმა, რომელიც ჩვენს ცენ-

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61, 61, 66, 70, 71, 75, 82, 88, 90, 92, 95, 97, 98, 100, 106.

ტრალურ თავდამსხმელსა და კაპიტანს (იგორ ნეტო არ თამაშობდა ამ მატჩში) ნიკიტა სიმონიანს მეურვეობდა, ისეთი ჟესტი გააკეთა, თითქოს მონეტა ჰაერში უნდა აგდოსო. ამით მან სიმონიანს ანიშნა: მოდით, ყველაფერს თავი დავანებოთ და ჩვენი ბედი კენჭისყრას მივანდოთო. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა თამაშმა ცოტა ხნით ჩვენს კართან გადმოინაცვლა, იგივე ჟესტი გაიმეორა ჩვენმა კაპიტანმაც. რასაკვირველია, ორივე ხუმრობდა. მაგრამ ამ ხუმრობაში სიმართლეც იყო.

ხოლო ბოლოს, როცა მატჩი ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა, ბილ რაიტმა ინგლისელებიდან პირველმა მოგვილოცა წარმატება. შეიძლება იმ წუთში გულიც სტკიოდა, შეიძლება ნაწყენი იყო, მაგრამ შეძლო ამ გრძნობების ძალიან ღრმად დამალვა. და ეს ჟესტი ყველა ჩვენგანმა დამამახსოვრა და რაიტი ყველასთვის ნამდვილი სპორტსმენის ნიმუშად დარჩა.

თუმცა მას შემდეგ თითქმის თხუთმეტი წელი გავიდა, ის მეოთხედფინალი დღესაც მწარედ მაგონდება. შეიძლებოდა ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო. შეიძლებოდა მოგვეგო, მატჩის წინ ჩვენ და ჩვენი მეტოქეები თანაბარ მდგომარეობაში რომ ყოფილიყავით. მერე რა, რომ შვედებს როგორც მინდვრის მასპინძლებს, უპირატესობა ჰქონდათ, რომ მათს შემადგენლობაში იყო რამდენიმე ძლიერი მოთამაშე, მათ შორის ისეთი დიდოსტატი, როგორიც ჰამრინია. თამაშის კლასით ისინი მაინც ჩამოგვივარდებოდნენ ჩვენც და ინგლისელებსაც.

ეს მატჩი სტოკჰოლმში შედგა და მგზავრობის გაწაბაწიამ აშოსუნთქვისა და ძალის თუნდაც ნაწილობრივ აღდგენის უკანასკნელი შანსიც წაგვართვა.

მეოთხედფინალი ინგლისელებთან ჩვენი მატჩის ერთი დღის შემდეგ იყო დანიშნული. ღამე ჰინდოსში გავათენეთ, დილით კი ავტობუსით გავემგზავრეთ გეტებორგში, რათა სტოკჰოლმის თვითმფრინავისთვის მიგვეწყრო. აეროპორტში გამოირკვა, რომ თვითმფრინავი იგვიანებდა. რამდენი ხნით — კაცმა არ იცოდა. მოგვიხდა მოცდა. რომ გავფრინდით, ღამის თერმეტი საათი იყო. მთელი დღე გავატარეთ ჰატარა, 30 კვადრატული მეტრი ზომის ჰოლში, სადაც ჩვენს 22-კაციან დელეგაციას სავარძლებიც კი არ ეყო. სტოკჰოლმში რომ დავეშვით, შუაღამე გადასული იყო. სანამ ვივახშმეთ, სანამ ნომრებში ბარგი-ბარხანა დავაწყვეთ, ორი საათი გახდა. ასე, ექვსი იქნებოდა დაწყებული. რომ ყველა, როგორც ერთი, ფეხზე წამოვცვივდით: ქუჩაში ჩაქუჩებით ასფალტის მტვრევა დაიწყეს.

მოშლილნი, გამოუძინებელნი, დაღლილ-დაქანცულნი მივედით სტადიონზე. იქ კი კიდევ ერთი მოწინააღმდეგე დაგვხვდა: სველი, წვიმისგან გაჟეჟინებული მინდორი. და მაინც, გუნდმა გაძლო პირველ ტაიმში. ჩვენ საკმაოდ კარგად ვუტევდით და ორსამჯერ გოლის გატანის შესაძლებლობაც მოგვეცა. ერთხელ, იური ვონინოვის უზუსტესი დარტყმის შემდეგ, უკვე დარწმუნებული ვიყავით, რომ ბურთი შვედების კარში გავიდოდა, მაგრამ მეკარე რაღაც სასწაულით მისწვდა მას დაბალ კუთხეში.

მეორე ტაიმში კი დაღლილობამ თავისი გაიტანა. დამამახსოვრდა მეორე ტაიმის ორი დეტალი. დასავლური გუნდების უმეტესობა დაცვის ზონურ სისტემას იყენებდა. ეს სისტემა ნიშნავს, რომ შენ გაქვს შესაძლებლობა რაიმე სერიოზული დაბრკოლების გარეშე მიიღო ბურთი და დაამუშაო იგი. შვედებიც ასე თამაშობდნენ. და, აი — ამ გრძნობას ვერასოდეს დავივიწყებ, — ბურთი შენსკენ მოდის, შენ ხედავ მას, ემზადები ფეხით მის გასაჩერებლად, მერე ბურთი მოსახერხებელ მდგომარეობაში გადაგაქვს და კომბინაციის გაგრძელებას ფიქრობ, ერთი სიტყვით, გინდა გააკეთო ის, რაც ათასჯერ გაგიკეთებია, ისე, როგორც მუდამ აკეთებდი, თითქმის ავტომატურად. მაგრამ ფეხი ჭაობში ჩაფლულივით დამძიმებული გაქვს და თავს დიდი ძალა უნდა დაატანო მის გასათავისუფლებლად. ასევე მძიმეა შენი ყველა დანარჩენი მოძრაობა და სანამ შენ ყველაფერ ამას თავს გაართმევდე, მცველი ასწრებს შენთან მორბენას, ბრძოლაში ჩაბმას, ბურთის წართმევას. შენ კი მას უკვე ვეღარ დაეწევი — ისე დარბიხარ, თითქოს ფეხქვეშ ჭაობი გქონდეს.

მეორე დეტალი: სერგეი სალნიკოვის ხან მავედრებელი, ხან მომთხოვნი ხმა, რომელიც შესაშური დაჟინებით იმეორებდა ერთსა და იმავე ფრაზას: — ბიჭებო, ჩემზე ითამაშეთ, ქორფა კიტრივითა ვარ...

მერე, როცა ყველაფერი უკან დარჩა და კვლავ დაგვიბრუნდა იუმორის აღქმის უნარი, ბევრს ვხუმრობდით ამ „ქორფა კიტრის“ გამო. სალნიკოვმა წინა შეხვედრა გამოუშვა და უნდოდა ჩვენ დავერწმუნებინეთ, ჩვენ კი არა, მე მგონი, პირველ ყოვლისა საკუთარი თავი, რომ კარგად დაისვენა, მხნედ იყო და შეეძლო თავდასხმაში ძირითადი დატვირთვა ეკისრა. მაგრამ ჩვენ ვხედავდით, რომ მინდორზე ისიც ისე მოძრაობდა, თითქოს გარს ჰაერი კი არა, ბამბა ერტყა.

მოკლედ, მეორე ტაიმში წარმატების არავითარი იმედი არ გვქონდა. შვედებს კი ორჯერ გაუღიმა ბედმა: ჯერ ჰამრინმა აუარა გვერდი კუზნეცოვს და მოუგერიებელი დარტყმით პირველი ბურთი გაიტანა ჩვენს კარში, მალე კი მანვე თავისი ფრთიდან ზუსტად გადასცა ცენტრფორვარდ სიმონსონს და ანგარიში 2:0 გახდა.

გასასხდელში დამარცხებით დამწუხრებულნი, დაუძლურებულნი დავბრუნდით. უხმოდ ვისხდიდით და ვცდილობდით არ გვეფიქრა მომხდარ ამბავზე, რადგან ფსიქოლოგიურად ქმეს უკვე აღარაფერი ეშველებოდა. და უცებ ოთახი ხალხითა და ხმაურით გაიავსო. შემოცვივდნენ ჩვენი ხელმძღვანელები, ტურისტები, ჟურნალისტები. ვიღაც თამაშის დეტალებს არჩევდა, ვიღაც გვაწყნარებდა, ხოლო ერთი გაზეთის კორესპონდენტი (არ დავასახელებ არც კორესპონდენტს და არც გაზეთს, რომლის წარმომადგენელიც იგი იყო) დაეხხა თავს ჩვენს მწვრთნელებს, კაჩალინსა და იაკუშინს:

— ეს რა ჩაიდინეთ? — ყვიროდა ის წვრილი ფალცეტით. — განა შეიძლებოდა ამ შემადგენლობის გამოშვება? სათადარიგოები უნდა გამოგეყვანათ, დაღლილები არ იყვნენ, თქვენ კი გუნდი წინასწარ გაწირეთ!

რა მოუსვენავი და უტაქტო საქციელი იყო ეს მუშტების ქნევა ჩხუბის შემდეგ! რა საწყენია ამის მოსმენა ფეხბურთელებისთვის და რა უხერხულად გრძნობ თავს მოლაპარაკის ნაცვლად! საინტერესოა, რას იტყოდა და რას დაწერდა ის კორესპონდენტი, ჩვენ რომ მოგვეგო? ან მწვრთნელებს სათადარიგო შემადგენლობა გამოეყვანათ და გუნდს წაეგო? სხვათა შორის, ინგლისელებთან მატჩში სამი სათადარიგო მოთამაშე მონაწილეობდა: ნეტო, რომელიც ავადმყოფობის შემდეგ მთლად განკურნებული არ იყო და ბრაზილიელებთან კარგად ვერ ითამაშა, ვიქტორ ცარიოვმა შეცვალა, სალნიკოვი — იური ფალინმა, ალექსანდრე ივანოვი — გერმან აპუხტინმა. ამ სამი დუბლიორისადმი ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად, განა შეიძლება ასეთ შეცვლას ტოლფასოვანი უწოდო თუნდაც ნაწილობრივ? განა არ სჯობდა, რომ მაშინვე, მატჩის დამთავრებისთანავე კი არ დაეყარათ მარილი პრიმუსნილ იარაზე, არამედ მსოფლიო ჩემპიონატამდე ან მის შემდეგ აეტეხათ განგაში იმის გამო, რომ ჩვენი ფეხბურთი ასე ღარიბი აღმოჩნდა მაღალი კლასის მოთამაშეებით, რომ ნაკრებსაც კი არა ჰყავს სრულფასოვანი რეზერვი?

მოსკოვში, შვეიცარიაში ჩვენი გამოსვლების საგაზეთო რეპორტაჟებს ოომ ვათვალიერებდი, მადლიერების გრძნობა აღმეძრა ერთ-ერთი მათგანის ავტორის მიმართ. „სოვეტსკი სპორტში“ დაბეჭდილი წერილის სათაური იყო „როცა ძალები არ ეყოფნის“. ავტორი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ჩვენმა გუნდმა შვედებთან მატჩში გააკეთა ყველაფერი, რაც შეეძლო, და წაგო მხოლოდ იმიტომ, რომ ძალები არ ეყო.

... სტადიონიდან სასტუმროში დავბრუნდით და შინ გამოსამგზავრებლად დავიწყეთ მომზადება.

ასე დამთავრდა ჩვენთვის ეს მსოფლიო ჩემპიონატი, პირველი ჩვენი ფეხბურთის ისტორიაში

(გაგრძელება იქნება)

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲙᲐᲚᲗᲜᲯᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲘᲡᲕᲐᲚᲐ

სსრ კავშირის თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩები გაიმართება არა 14, არამედ 15 ივნისს. ამასთან დაკავშირებით საკავშირო ჩემპიონატის X ტურის მატჩები, რომლებიც დანიშნული იყო 17 ივნისისთვის, ჩატარდება 18 ივნისს.

II ᲚᲘᲒᲐ III ᲖᲝᲜᲐ

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა ნ ივნისისთვის	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ვოლოგდა)	11	7	3	1	17—7	17
„დინამო“ (კიროვაბადი)	10	7	1	2	21—7	15
„ისკრა“ (სმოლენსკი)	11	6	3	2	15—7	15
„ტორპედო“ (ვლადიმირი)	11	6	2	3	13—6	14
„დინამო“ (ბათუმი)	10	5	4	1	11—4	14
„სიმფიკი“ (ძერჟინსკი)	11	5	3	3	13—9	13
„კალიტვა“ (მელეკესი კალიტვა)	11	6	0	5	17—14	12
„დინამო“ (სტავროპოლი)	10	3	5	2	10—8	11
„ურალანი“ (ელისტა)	10	4	3	3	8—7	11
„სიმფიკი“ (ნოვოშოსკოვსკი)	11	5	1	5	9—11	11
„დინამო“ (ბრიანსკი)	11	3	4	4	10—9	10
„ბეშრია“ (ლენინაკანი)	11	2	6	3	10—10	10
„ლოკომოტივი“ (ბალაშოვი)	10	3	3	4	7—10	9
„მერცხალი“ (ბაბარაძე)	10	2	4	4	7—12	8
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	10	2	4	4	7—14	8
„კოლხეთი“ (ფოთი)	11	3	2	6	4—12	8
„შირაკი“ (ლენინაკანი)	10	2	3	5	10—14	7
„დილა“ (გორი)	10	2	3	5	8—14	7
„დინამო“ (ზუგდიდი)	11	3	1	7	7—14	7
„ფოლადი“ (ხაშმაგითი)	10	1	1	8	4—19	3

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲡᲢᲔᲤᲐᲜᲘᲐᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐ

ამას წინათ გორში ჩატარდა ადგილობრივი „დილისა“ და თბილისის „დინამოს“ ტრაგიკულად დაღუპული მეკარის თ. სტეფანიას სახელობის თასის გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის. შეჯიბრებაში ქალაქის სკოლების 12 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს მე-10 და მე-12 სკოლების გუნდებმა. მე-10 სკოლის წარმომადგენლებმა ჩუხრუკიძემ და შუბითიძემ ორი ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში და გამარჯვება მოუტანეს თავიანთს გუნდს.

დაწესებული იყო სპეციალური პრიზები. საუკეთესო მეკარედ აღიარეს დ. ტატიშვილი (მე-12 სკოლა), მცველად — ი. ტერმაკოზაშვილი (მე-10 სკოლა), ნახევარმცველად — მ. საბანაშვილი, ხოლო თავდამსხმელად — ა. ჩეჩელაშვილი (ორივე — მე-12 სკოლა).

ტურნირის საუკეთესო მოთამაშის პრიზი გადაეცა დ. შუბითიძეს (მე-10 სკოლა).

ი. თეოდოლაშვილი.
(ჩვენი კორ.).

გორი.

ᲡᲐᲐᲛᲗᲝ ᲡᲠᲣᲚᲘᲤᲮᲝᲑᲘᲗ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ

სამხრეთ ოსეთის „კოლმეურნის“ ხოლქო საბჭოს „ოქროს თავთავის“ თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზნაურის რაიონის სოფ. ავნევისა და ლენინგორის რაიონის სოფ. წინაგრის ფეხბურთელები. გაიმარჯვეს ავნეველებმა — 5:0.

ვ. მელქოევი.

ᲐᲠᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘ ᲬᲐᲣᲒᲔᲑᲚᲐᲓ...

კიევი, 3 ივნისი. ევროპის იუნიორ მოკრივეთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში წაუგებლად ჯერჯერობით მხოლოდ სსრ კავშირის ნაკრები ასპარეზობს, თუმცა 117 მონაწილიდან 39 სპორტსმენი თვისი ქვეყნის ჩემპიონია უფროსებში.

შეჯიბრების პირველ დღეს მასპინძელთა გუნდს გამარჯვებები მოუტანეს დონეცკელმა ა. ტკაჩენკომ (პირველი უმრატესი წონა), უფლმა ვ. ლომასოვმა (მსუბუქი) და კოსტრომელმა ა. კრუპინმა (მეორე საშუალო). სამივემ ვადამდე დაამთავრა შეხვედრა — ზოგმა ნოკაუტით, ზოგმაც ამკარა უპირატესობის გაჟო.

კვირის პროგრამა მეორე უმრატესი წონის მოკრივეებმა გახსნეს: ერთმანეთს შეხვდნენ მაგადანელი ვ. რიბაკოვი და უნგრელი გ. ჩორდანი. მეორე რაუნდში საბჭოთა მოკრივემ ორჯერ ჩაგდო მეტოქე ნოკდაუნში და მსაჯმა ორთაბრძოლა შეწყვიტა.

ლენინგრადელმა ნ. სიგოვმა (პირველი ქვესაშუალო) ქულებით სძლია ა. ბოტიანსკის (ჩეხოსლოვაკია).

დამაჯერებლად გამოდიან საბჭოთა გუნდის ძირითადი მეტოქეებიც — რუმინეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოკრივეები, თუმცა მათ საბჭოთა სპორტსმენებზე ნაკლები გამარჯვება აქვთ მოპოვებული.

შეხვედრებს განაგრძობს ბულგარეთის 9 მოკრივე. ერთგვარად უხეიროდ აიღეს სტარტი უნგრელებმა, რომელთა რიგებს პირველ შეხვედრებში უკვე სამი კაცი გამოაკლდა.

კიევში რვა პოლონელი მოკრივე ჩამოვიდა. მათგან რინგზე პირველი კ. შჩერბა გამოვიდა. კვირას მან ქულებით დაამარცხა ავსტრიის იუნიორთა ჩემპიონი კ. სიტლერი.

ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

— 3. როშიცკის მემორიალი (ჩეხოსლოვაკია).
20-22. საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „პრავდის“ პრიზებზე რიგნაში, ხტომასა და ტყორცნაში (მოსკოვი).
23-24. საერთაშორისო შეჯიბრება — ი. ჭუსოჩინსკის მემორიალი (პოლონეთი).
28-29. აშშ-სა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (აშშ).

ᲡᲐᲛᲔᲒᲝ

27-29. ევროპის ჩემპიონატი (ესპანეთი).

ᲨᲔᲮᲑᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

21-23. ბულგარეთისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (ბულგარეთი).

ᲚᲐᲡᲢᲔᲜᲯᲝ ᲡᲠᲝᲚᲐ

5-11. საერთაშორისო შეჯიბრება (ბულგარეთი).
9-13. საერთაშორისო შეჯიბრება (რუმინეთი).
20-25. ევროპის ჩემპიონატი (საფრანგეთი).
28-30. საკავშირო შეჯიბრება (სევასტოპოლი).

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲢᲐᲜᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ

7-9. საერთაშორისო შეჯიბრება (ბულგარეთი).
11-13. გდრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (გდრ).

ᲢᲣᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲠᲝᲚᲐ

5-12. საერთაშორისო შეჯიბრება (ჩინეთი).
9-13. საერთაშორისო შეჯიბრება (რუმინეთი).
20-25. საერთაშორისო შეჯიბრება (უნგრეთი).

ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲑᲐ

5-12. სსრ კავშირის ჩემპიონატი (მინსკი).

ᲠᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

10. VI-6. VII. უიმბლდონისა და ჩინი წინამორბედი ტურნირები (ინგლისი).

ᲪᲣᲠᲪᲐ

30. VI-4. VII. სსრ კავშირის ჩემპიონატი და პირველობა ქალთა და გოგონათა (ხარკოვი), ვაჟთა და ჭაბუკთა (ერევანი) შორის.

ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘ

21-25. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მეორე წრე (ვოლგოგრადი).
26-30. სსრ კავშირის ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მეორე წრე (კიევი).

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲮᲝᲛᲐ

6-9. სსრ კავშირის თასი (ვოლგოგრადი).
14-17. გდრ-ისა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდების მატჩი (გდრ).
26-30. საკავშირო შეჯიბრება (კიევი).

ᲕᲐᲓᲠᲐᲙᲘ

6-30. მსოფლიოს გუნდური პირველობა ვაჟთა შორის (საფრანგეთი).
12-30. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი შესარჩევი შეჯიბრება (დაუკავპილსი).
13. VI-6. VII. სსრ კავშირის ქალთა ჩემპიონატი. ნახევარფინალური ტურნირები (კიმინოვი, ფრუნზე).

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ

14-17. ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება (იუგოსლავია).
22-30. სსრ კავშირის ვაჟთა ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მეოთხე წრე (კიევი).

ჰოლანდიის ძლიერება „აიაქსშია“

1968 წლის შემდეგ ჰოლანდია პირველად გავიდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. თავის აღორძინებას იგი თითქმის მთლიანად უნდა უმადლოდეს ერთ კლუბს — „აიაქსს“. თავის მხრივ, „აიაქსი“ დიდად დავალებულია ერთი კაცისგან — რინუს მიხელსისგან, რომელიც ამჟამად „ბარსელონას“ წვრთნის. მიხელსი პირველი მწვრთნელი იყო ჰოლანდიაში, რომელმაც საკუთარი იდეები განახორციელა. იგი დაჯილდოებული იყო ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენის უდიდესი ნიჭით.

სანამ სცენაზე „აიაქსი“ გამოვიდოდა, ლიდერი „ფეიენოორდი“ იყო. თუმცა, „აიაქსისა“ და „ფეიენოორდის“ ბატონობა ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენდა ეროვნული ნაკრები გუნდის შედეგებზე. მაგალითად, ერთხელ „ფეიენოორდმა“ ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას შეუთვალა, ევროპის თასის გათამაშებისთვის ვემზადებით და ჩვენი არც ერთი წევრი ნაკრებში არ მიიწვიოთო. ფეხბურთის ასოციაციამ „ფეიენოორდის“ ყველა მოთამაშე ერთი წლით გაათავისუფლა ჰოლანდიის ნაკრები გუნდიდან. ასეთი რამ სამჯერ მოხდა, სანამ ზავი დაიდებოდა.

ჰოლანდიის ბევრი მოწინავე ფეხბურთელი ევროპის სხვა ქვეყნებში თამაშობს, მაგრამ ამას ამ მთავარი კლუბების ურთიერთობაში არაფერი შეუცვლია: კარგი დამოკიდებულება იოლი მისაღწევი არასდროს ყოფილა. მათს შორის დღემდე დიდი მეტოქეობაა, მიუხედავად თამაშის განსხვავებული სტილისა.

„აიაქსი“ მოკლე გადაცემებით თამაშობს და იერიშებში რვა კაცი ჰყავს ჩაბმული. „ფეიენოორდი“ უფრო დაცვითს ტაქტიკას მიმართავს სწრაფი თავდამსხმელებით. გუნდში ბევრი რამაა დამოკიდებული ვან ჰანეგემზე, რომელსაც უყვარს მინდვრის შუაგული მეტოქის მოტყუება, შემდეგ კი გრძელი გადაცემა წინ, თავდამსხმელებისკენ. ორი სხვადასხვა სტილი არც ისე იოლად ეთვისება ერთმანეთს.

„აიაქმა“ თავისი ფეხბურთელების უმეტესობა გაუშვა შესარჩევი ტურნირის მატჩებში სათამაშოდ, მაგრამ გაურთულებლად საქმეს არც ახლა ჩაუვლია. ამჯერად კონფლიქტი მოხდა ნაკრების ორ მენეჯერს, ჩეხოსლოვაკიელ ფრანტიშეკ ფადრონჯსა და კორ ვან დერ ჰარტს შორის.

ნაკრებისთვის გადამწყვეტი იყო ორი მატჩი ბელგიის გუნდთან, რომლებიც ერთნაირი ანგარიშით (0:0) დამთავრდა.

მეორე შეხვედრაში, რომელიც ამსტერდამში ჩატარდა, ასეთი ფრე ხელს აძლევდათ ჰოლანდიელებს, რადგან ჯგუფში I ადგილზე გადიოდნენ ბურთების უკეთესი სხვაობით. და ისინიც სწორედ ამისთვის თამაშობდნენ თითქმის მთელ გუნდს არაფერი აინტერესებდა იმის გარდა, რომ 0:0-ზე დაემთავრებინა შეხვედრა და მსოფლიო პირველობის ფინალში გასვლისთვის ფული მიეღო.

ამ ამბავში არ მონაწილეობდა მხოლოდ ერთი კაცი: ეს იყო პიტ კაიზერი, „აიაქსის“ კაპიტანი და ბრწყინვალე მარცხენა გარემარბი. მან უარი თქვა თამაშზე. კაიზერი არ ელაპარაკება კრუიფს მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა „ბარსელონას“ მიჰყიდა თავი. მან უარი თქვა ჰოლანდიის ნაკრებში თამაშზე, თუ გუნდში კრუიფიც იქნება:

კაიზერს კრუიფი მოღალატედ მიაჩნია „აიაქსისა“ და ჰოლანდიის დატოვებისთვის.

არადა, ეროვნულ ნაკრებს ორივე ფეხბურთელი ძალიან სჭირდება. ამავე დროს, მათი შერიგება ერთადერთ ადამიანს შეუძლია. ესაა რინუს მიხელსი, რომელიც ორივეს ბავშვობიდან იცნობს და ორივეზე შეუძლია გავლენა მოახდინოს. იგი ნაკრებ გუნდს ჩაუდგა სათავეში და ბევრად მეტი იცის, ვიდრე ფადრონჯმა ან ვან დერ ჰარტმა.

თითქმის მაშინვე, როგორც კი მიხელსი უფროს მწვრთნელად დაინიშნა, „აიაქსის“ ცხრა ფეხბურთელმა, ეროვნული ნაკრების ცხრა წევრმა, ფეხბურთის ასოციაციას განუცხადა, დასავლეთ გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობისთვის დანიშნული გასამჯელო გვეცოტავებაო.

მიუხედავად იმისა, რომ ხალხი არც ამჯერად მიემხრო ფეხბურთელებს, ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია თანახმაა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში მიღებული მთელი შემოსავალი სანახევროდ გაუყოს მოთამაშეებს.

„აიაქსის“ რვა თუ ცხრა წევრი და კიდევ კრუიფი გვაძლევენ იმედს, რომ ჰოლანდიის ნაკრები თუნდაც ნაწილობრივ მაინც შეგვიქმნის წარმოდგენას იმ ფეხბურთზე, რომელმაც ბოლო წლებში დაამარცხა „ლივერპული“, მიუნჰენის „ბაიერნი“, მილანის „ინტერნაციონალე“ და ლონდონის „არსენალი“...

მაგრამ არა. ფულისთვის შეშლილი ფეხბურთელები ნაკრებში თავიანთი შესაძლებლობების ნახევარსაც არ ავლენენ და ხშირად უხეშობენ კიდეც, რადგან ეს უფრო იოლია, ვიდრე ნამდვილი ფეხბურთის თამაში. სწორედ ასე მოიქცნენ ისინი ბელგიელებთან გამართულ ორივე შეხვედრაში.

ჰოლანდიას ბედმა გაუღიმა, როცა ყველაზე „იოლ ჯგუფში“ მოხვდა უორეგაისთან, შვეიცარიასთან და ბულგარეთთან ერთად. წესით, ჰოლანდიელებმა უნდა იმარჯვონ, მაგრამ, თუ გუნდის ამჟამინდელი განწყობილებისა და ამასწინანდელი ფორმის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს არ იქნება ადვილი საქმე.

ტერი ბაუელი.

• • •

გუნდის შემადგენლობა:

ძირითადი მოთამაშეები: იან ვან ბეეერენი („ფშუ ეინდჰოვენი“), ვიმ სუურბიერი („აიაქსი“), აად მანსფელდი („დენ ჰააგი“), ბერი ჰულსჰოფი („აიაქსი“), რუუდ კროლი („აიაქსი“), ერი ჰაანი („აიაქსი“), იოჰან ნეიესენი („აიაქსი“), ჯონი რეპი („აიაქსი“), ვიმ ვან ჰანეგემი („ფეიენოორდი“), იოჰან კრუიფი („ბარსელონა“), პიტ კაიზერი („აიაქსი“).

მათს გარდა გუნდში არიან: მეკარე პიტ შრიივერსი („ტვენტე“); მცველები: კეეს ვან ირსელი („ტვენტე“), დიკ შნაიდერი („ფეიენოორდი“), იან ბოსკამპი („ფეიენოორდი“); ნახევარმცველები: თეო დე იონგი („ფეიენოორდი“), ვიმ იანსენი („ფეიენოორდი“); თავდამსხმელები: რენე ვან დერ კერკოფი („ფშუ ეინდჰოვენი“), ვილი ბროკამპი („მაასტრიხტი“), იან მულდერი („აიაქსი“), რობ რენზენბრინკი („ანდერლეხტი“).

(„მორნინგ სტარი“, ლონდონი).

WM 74

ჩემპიონატისთვის მზადების ნიშნით

ბაზელი, 3 ივნისი. ბრაზილიის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისი შვეიცარიის ამ ქალაქში ადგილობრივი „ბაზელის“ დამარცხებით (5:2) დაამთავრა. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ბრაზილიელებმა საუცხოოდ ითამაშეს თავდასხმაში, დაცვაში კი შედარებით სუსტად გამოიყურებოდნენ. საინტერესოა ისიც, რომ მსოფლიო ჩემპიონი ორჯერ აგებდა მატჩს და ორივეჯერ გამეორდა ერთნაირი სიტუაცია: მე-20 წუთზე ანგარიში გახსნა „ბაზელის“ თავდამსხმელმა ბალმერმა, 10 წუთის შემდეგ კი რიველინომ გაქვითა გოლი. რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე ბალმერმა წინ გაიყვანა „ბაზელი“ და კვლავ რიველინომ აღადგინა თანაფარდობა. შემდგომში ბრაზილიელები სრული ძალით ათამაშდნენ, რაც დამთავრდა ჟაირზინიოს, რიველინოსა და ვალდომიროს 3 გოლით.

მიუნჰენი, 3 ივნისი. ევროპაში სტუმრად მყოფმა არგენტინის ნაკრებმა კიდევ ერთი მატჩი ჩაატარა მსოფლიო ჩემპიონატის წინ. არგენტინელებმა ანგარიშით 1:0 სძლიეს ადგილობრივ „ჩიუნჰენს“. მასპინძლები დიდ ხანს უტევდნენ, მაგრამ 63-ე წუთზე გახხორციელებულმა სწრაფმა კონტრშეტევამ წარმატება მოუტანა არგენტინელებს — ბალბუენამ გაიტანა გოლი. ევროპაში ჩატარებულ ექვს მატჩში არგენტინელები „თავნზე“ დარჩნენ — 2 მოგება, 2 წაგება, 2 ფრე.

ვარშავა, 3 ივნისი. ჰოლონეთის ნაკრების მატჩი ბელგიის ჩემპიონთან „ანდერლეჰტთან“ (ბრიუსელი) დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 2:0 (1:0).

ჰადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

• •

ალექსანდრია — შული 5:2

რიგა, 4 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ ნ. ალექსანდრია (თბილისი) — მ. შული (ლვოვი) მატჩში უნდა დამთავრებულიყო 1 ივნისს გადადებული VIII პარტია. მაგრამ ლვოველი მოჭადრაკე, ისევე როგორც გუშინწინ, თავს უქეიფოდ გრძნობდა და თამაში არ განუახლებია. ეს გაცდენაც, როგორც წინა ორი გამოუცხადებლობა ავადმყოფობის მიზეზით, მას საპატიოდ ჩაეთვალა. VIII პარტია დღეს უნდა დამთავრდეს. თუ შული ამჯერადაც არ გამოცხადდა სათამაშოდ, მას პარტია წაგებულად ჩაეთვლება.

• •

ქოზლოვსკაია — ლევიტინა 2:2

კისლოვოდსკი, 4 ივნისი. გუშინ სანატორიუმ „როდინას“ სააქტო დარბაზში გაიმართა ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი)—ი. ლევიტინას (ლენინგრადი) მატჩის IV პარტია. თეორებით ლევიტინა თამაშობდა.

ბრძოლა საინტერესოდ დაიწყო, მაგრამ 22-ე სვლის შემდეგ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

მატჩის ანგარიშია 2:2.

დაწინაურდა საქართველოს გუნდი

რიგა, 4 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). მოძმე რესპუბლიკების მოჭადრაკეთა გუნდების სამთა მატჩტურნირის II ტურში ერთმანეთს უკრაინისა და ლატვიის წარმომადგენლები შეხვდნენ. ხუთსაათიანი თამაშის შემდეგ ბრძოლა შეწყდა, როცა ანგარიში იყო 4:3 უკრაინის გუნდის სასარგებლოდ. ორ გადადებულ პარტიაშიც უპირატესობა უკრაინელთა მხარესაა.

III ტურში უკრაინის გუნდი საქართველოს წარმომადგენლებს შეხვდა. ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 3,5:0,5 საქართველოს მოჭადრაკეთა სასარგებლოდ.

ა. ბოკუჩავამ სძლია ოსტატ ვ. ლერნერს, გ. ზაიჩიკმა — ოსტატ ი. პერესიპკინს, თ. ხუგაშვილმა — ი. არტამონოვს. ყაიმით დამთავრდა რ. ჯიჯიხაშვილ — ს. პალატნიკის შეხვედრა. ხუთი პარტია გადაიდო. ვ. გუფალდი აგებს უკრაინის ჩემპიონთან, ოსტატ ლ. ალბურტთან, ა. ბუსლაევი — ოსტატ მ. მიხალჩიშინთან, ა. ტუზოვსკი — საერთაშორისო ოსტატ ო. რომანიშინთან. თანაბარი პოზიციაა საქართველოს ჩემპიონ ვ. უბილავას და ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონ, საერთაშორისო ოსტატ ა. ბელიავსკის, აგრეთვე, ც. კობაიძე — ი. ოსტრიის გადადებულ პარტიებში.

ზაიჩიკი და ი. კივლანი (ლატვია) ყაიმზე შეთანხმდნენ I ტურიდან გადადებულ პარტიაში.

3 ტურის შემდეგ ლიდერობს საქართველოს გუნდი — 7,5 ქულა და 6 გადადებული პარტია.

ჩვენი ქალაქი ★ ფეხბურთში

მუშათა სპორტკლუბის მუზეუმი

სამხრეთ მანქანათსაშენებელ ქარხანაში საწარმოს სპორტული დიდების მუზეუმი გაიხსნა. სპორტკლუბი „მეტეორი“ 10 ათასზე მეტ კაცს აერთიანებს. საამქროებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში მუშაობს ასზე მეტი სპორტის ოსტატი — ქვეყნის ჩემპიონები და რეკორდსმენები, დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამარჯვებულნი.

მუზეუმში გამოფენილია ასობით თასი, პრიზი, სამახსოვრო სიგელი — „მეტეორის“ აღზრდილთა სპორტული დიდების დადასტურება. აქვე ნახავთ ფოტოსურათებს, საბუთებსა და სხვა რელიკვიებს, რომლებიც გვიამბობენ ქარხნის ფიზკულტურული კოლექტივის ცხოვრებისა და მისი საუკეთესო მწვრთნელების მუშაობაზე.

ერთი დიდი განყოფილება ეძღვნება ქარხნის სპარტაკიადებს, რომლებშიც თითქმის მუდამ ყოველი მესამე მანქანათმშენებელი მონაწილეობს.

ყველაზე ლამაზი ექსპოზიცია მშდ კომპლექსს ეძღვნება.

ბ. ცურკანოვი.

დნეპროპეტროვსკი.

საჯარო ლექციებზე

ვადამდე

უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის შიაულიაში მიმდინარე დასკვნითი ტურის მეორე დღეს კიევის „სპარტაკმა“ დაამარცხა ჩერკასის „ოსვიტა“ — 30:6 (16:3) და პირველობის დამთავრებამდე 3 ტურით ადრე მიუწვდომელი გახდა დანარჩენ მეტოქეთათვის. კიეველები ზედიზედ მეექვსედ გახდნენ ჩემპიონები.

ჩვენი გაზეთის კვირის ნომერში, საკდესის მიზეზით, შეცდომით ვიტყობინებოდით, რომ ბაქოს სპორტნაწარმის ფაბრიკის გუნდმა ანგარიშით 20:15 (11:8) დაამარცხა კიევის № 3 სახლსაშენებელი კომბინატის კოლექტივი. სინამდვილეში იგივე ანგარიშით გაიმარჯვეს კიეველებმა.

მეორე დღის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ლუჩი“ (მოსკოვი) — უპი (სვერდლოვსკი) 14:13 (6:8), „პეტროგრადეცი“ (ლენინგრადი) — „ტექნოლოგი“ (მინსკი) 17:12 (8:6), სპორტნაწარმის ფაბრიკა — „ისკოჟი“ (კიშინიოვი) 17:16 (7:7), „ფალგირისი“ (კაუნასი) — № 3 სახლსაშენებელი კომბინატი 14:15 (7:6).

მესამე დღეს კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმეს კიევის სპარტაკელებმა, რომლებმაც დაამარცხეს უპი — 21:9 (11:4).

სხვა მატჩები ასე დასრულდა: „ოსვიტა“ — „ტექნოლოგი“ 15:11 (8:7), „პეტროგრადეცი“ — № 3 სახლსაშენებელი კომბინატი 13:12 (9:6), „ლუჩი“ — სპორტნაწარმის ფაბრიკა 16:13 (8:7), „ფალგირისი“ — „ისკოჟი“ 16:13 (8:7).

გაგაცნობთ გუნდების მდგომარეობას 16 ტურის შემდეგ:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	16	0	0	436:166	32
„ფალგირისი“	11	1	4	265:229	23
სპორტნაწარმის ფაბრიკა	10	1	5	261:250	21
„ლუჩი“	9	2	5	257:254	20
უპი	8	0	8	224:240	16
№ 3 სახლსაშ. კომბინატი	6	2	8	229:263	14
„ისკოჟი“	5	2	9	266:291	12
„პეტროგრად.“	4	1	11	202:277	9
„ოსვიტა“	3	2	11	212:284	8
„ტექნოლოგი“	2	1	13	229:327	5

ხელბურთი

ცალკეულ სახეობებშიც...

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა საკავშირო ჩემპიონატში ამხოლუტური პირველობისთვის ბრძოლაში ნ. კრაშენინიკოვას გამარჯვების ამბავს.

ამ 19 წლის სტავროპოელ სტუდენტს ცალკეულ ვარჯიშებშიც არ ჰყავდა ტოლი — იგი პირველი იყო უსაგნოდ (18,55 ქულა), სახტუნებლით (18,1), სალტით (19,65) და ლენტით (19,45) ვარჯიშებში.

ერთადერთი, რაშიც კრაშენინიკოვა II ადგილს დასჯერდა, ბურთით ვარჯიში იყო. აქ გაიმარჯვა მსოფლიოს ამხოლუტურმა ჩემპიონმა, ომსკელმა გ. შუგუროვამ — 19,9 ქულა.

კიდევ ორი ეტაპი

მინსკი, 3 ივნისი. გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზზე საკავშირო მრავალდღიანი ველოსიპედოლის V ეტაპი ზედ ფინიშთან გამართული უაღრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ მოიგო ომსკელმა ი. ოსინცევმა. 142-კილომეტრიან ეტაპზე მისი დროა 3:01.46. II ადგილზე გახული გომელელი ვ. ზორინი გამარჯვებულს სულ 1 წამით ჩამორჩა. III ადგილი დაიკავა სიმფეროპოლელმა ვ. კომისაროვმა — 3:01.50.

VI ეტაპზე (137 კმ) თავი გამოიჩინა სსრ კავშირის ნაკრების დებიუტანტმა, 20 წლის მინსკელმა ბ. ისაევმა. იგი ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტია და სულ 5 წელია მისდევს ველოსპორტს. გამარჯვებულის დროა 3:07.11. II ადგილზე გავიდა ომსკელი ვ. დებელი (3:07.31), III — დუშანბელი ა. ტიხონოვი (3:07.41).

ბელორუსიის გზებზე გამართული 6 ეტაპის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ არმიელები (42:06.24), ხოლო პირადში კვლავ წინაა ტამკენტელი ა. იუდინი — 14:00.31.

რიჟენკოვი უძლიერესია

ვერონა, 3 ივნისი. ევროპის ძალოსანთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში საშუალო წონაში კონტინენტის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა მოსკოველმა ვ. რიჟენკოვმა. მან ორჭიდში 357,5 კგ დააგროვა. ეს საბჭოთა გუნდის ყულაბაში მეორე ოქროს მედალია.

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ბულგარელებმა ტ. სტოიჩევმა (347,5) და რ. რუსევმა (345).

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02601

რედაქტორი მ. კაკაბაძე.